საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში

სექტემბერი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში

სექტემბერი

ანგარიში მომზადდა საქართვველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

თბილისი
2020

კვლევის ხელმძღვანელები:	**სულხან სალაძე**
	ვახუშტი მენაბდე
ავტორთა ჯგუფი:	
წამყვანი მკვლევარი:	**მარიამ ლაცაბიძე**
მკვლევარები:	**კოკა კიღურაძე**
	გვანცა ჯიქია
	ნანა ჭანტურია
რედაქტორი:	**ხათუნა ყვირალაშვილი**

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო, 0102
+995 322 936101
www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2020

სარჩევი:

შესავალი..... 5

1. სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა..... 7

2. ამომრჩევლის მოსყიდვა..... 8

3. მუქარა და ძალადობრივი ქმედებები..... 9

4. პარტიის წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლა..... 15

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2020 წლის მარტიდან დაიწყო პროექტის „გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში“ იმპლემენტაცია. მისი მიზანია სამართლიანი, თანასწორი და კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს ხელშეწყობა არჩევნების წინა პერიოდის მონიტორინგის გზით.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული მონიტორის მეშვეობით, თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება. მონიტორების დახმარებით, საია უზრუნველყოფს სანდო და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2020 წლის სექტემბერში[1] გამოვლენილ დარღვევებს ან ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ცუდი პრაქტიკაა და ამახინჯებს წინასაარჩევნო გარემოს.

წინასაარჩევნო კამპანიის რეგულაციები, საარჩევნო კოდექსის თანახმად, 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდა. COVID-19-ით გამოწვეული ეპიდსიტუაციის გავლენა პარტიათა აქტივობებზე კვლავ შეინიშნება. გამოწვევად რჩება სამთავრობო პროექტების პერსონიფიცირება და კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტთან აფილირება, რაც მმართველი ძალის კამპანიის ნაწილად, ასევე, ამომრჩევლის ნებაზე მანიპულაციად აღიქმება. ეს, საბოლოო ჯამში, შლის ზღვარს პარტიასა და სახელმწიფოს შორის.

სექტემბერი ძალადობრივი ფაქტებით გამოირჩეოდა, რამაც საგანგაშო ხასიათი ბოლნისსა და მარნეულში მომხდარი დაპირისპირების დროს მიიღო. შედეგად, დაშავდნენ მოქალაქეები, მედიისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ამ პროცესებში საჯარო პირების მონაწილეობა. საია მიიჩნევს, რომ აუცილებელია ამ საქმეების ყოველმხრივი, დროული, მიუკერძოებელი გამოძიება, ყველა მონაწილე პირის იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობაში მიცემა. ორგანიზაცია მოუწოდებს დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს, თავი შეიკავონ ყოველგვარი ძალადობრივი ქმედებებისგან და პატივი სცენ არჩევნების მშვიდ, სამართლიან გარემოში ჩატარების მოთხოვნას.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ამჯერადაც გამოვლინდა სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიისთვის დაბრკოლებების შექმნის ფაქტები. თბილისის მუნიციპალურმა ინსპექციამ პარტია „ლელოს“ წარმომადგენლებს სააგიტაციო მასალების გავრცელებისას არ მისცა კარვის გაშლის საშუალება, რაც, საიას აზრით, უფლების არაპროპორციული შეზღუდვაა. სხვა შემთხვევა უკავშირდება პარტიას „ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა“, რომელსაც

[1] ანგარიშში შეტანილი ზოგიერთი ფაქტი წინა საანგარიშო პერიოდში მოხდა, თუმცა მათი ანალიზი სექტემბერში დასრულდა.

ქარელის მუნიციპალიტეტმა უარი უთხრა სკვერით სარგებლობაზე - ასევე უსაფუძვლოდ. ასეთი ფაქტები თანასწორ საარჩევნო გარემოს აზიანებს.

საერთო ჯამში, საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს:

- სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფის 1 შემთხვევა;
- ამომრჩევლის მოსყიდვის 1 შემთხვევა;
- მუქარისა და ძალადობრივი ქმედების 11 შემთხვევა;
- პარტიისთვის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ხელშეშლის 3 შემთხვევა.

ანგარიშში ასევე მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ კანონის დარღვევის შესახებ, რაც წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის გამოქვეყნებას უკავშირდება.

1 სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

ინტერნეტიზაციის შესახებ მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაცია

2020 წლის 10 იანვარს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.[2] ამ ინიციატივის ფარგლებში შემუშავდა ქვეყნის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის პროექტი - Log-in Georgia, რომელსაც მსოფლიო ბანკი 40 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს.[3] პროექტი გულისხმობს ათასამდე დასახლებულ პუნქტში მცხოვრები ნახევარი მილიონი მოქალაქისთვის (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში) მაღალხარისხიან ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას.[4] მთავრობის ადმინისტრაციამ 31 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია, სადაც პრემიერმინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილი საუბრობს ამ პროექტის იმპლემენტაციაში ფონდ „ქართუს“ როლსა და მის მიერ დახარჯულ მილიონობით ლარზე.[5] ფონდი „ქართუ“ მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზაციაა. ხელისუფლების მხრიდან **წინასაარჩევნო პერიოდში მსხვილი პროექტების პერსონიფიცირება იმ მანიპულაციური სტრატეგიის ნაწილია, რომლის შედეგიც სახელმწიფოსა და სახელისუფლებო პარტიას შორის ზღვრის წაშლაა. ეს კი, საბოლოოდ, ამომრჩევლის აღქმას ამახინჯებს და არსებულ უმრავლესობას საარჩევნო უპირატესობას აძლევს.**

---

[2] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის N60 განკარგულება „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2015 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jx3ffT, განახლებულია: 04.10.2020.

[3] „ქვეყნის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის პროექტს - Log-in Georgia - მსოფლიო ბანკი 40 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 31.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33reMI8, განახლებულია: 04.10.2020.

[4] იქვე.

[5] „ბექა ლილუაშვილი - „ლოგ ინ ჯორჯია" გულისხმობს ნახევარი მილიონი ადამიანისთვის ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას, რაშიც ფონდ „ქართუს“ როლია აღსანიშნავი“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 31.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FXugL7, განახლებულია: 04.10.2020.

2 ამომრჩევლის მოსყიდვა

„PSP ფარმას“ მიერ მედიკამენტების უფასო იმპორტი („პროგრესი და თავისუფლება“)

2020 წლის 1-ლ სექტემბერს ფარმაცევტულმა კომპანიამ შპს „PSP ფარმამ“ გაავრცელა რეკლამა, რომლის მიხედვითაც, ის მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს გარკვეული დაავადებების სამკურნალო ძვირადღირებული პრეპარატების თურქეთიდან იმპორტს ყოველგვარი ფასნამატის გარეშე.[6] კომპანია ასეთი ტიპის მომსახურებას პაციენტთა ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე ასრულებს.[7] შპს „PSP ფარმას“ 95%-იანი წილის მფლობელია კახა ოქრიაშვილი,[8] რომელიც, იმავდროულად, პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერია.

კანონმდებლობით პარტიას ეკრძალება სხვა პირის მეშვეობით, არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქეებისთვის შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა.[9] **მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრმა და საარჩევნო კანდიდატმა ეს წესი დაარღვია.**

---

[6] „PSP საქართველოს მოქალაქეებისთვის თურქეთიდან მედიკამენტების ჩამოტანას ყოველგვარი მოგების გარეშე უზრუნველყოფს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 01.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cXb4Jd, განახლებულია: 08.09.2020.

[7] იქვე.

[8] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, „შპს პსპ ფარმა“, 28.01.2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36AAoUa, განახლებულია: 08.09.2020.

[9] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის 25^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

3 მუქარა და ძალადობრივი ქმედებები

ქვემოთ განხილული ყველა ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მათგან ნაწილზე დაწყებულია გამოძიება, ნაწილი კი შესაბამისი ორგანოების რეაგირებას ელოდება. საია სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, ყველა შემთხვევა სრულად გამოიძიონ, პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ, ხოლო საზოგადოებას საქმეების მიმდინარეობის შესახებ აცნობონ.

„ლელოს“ წევრები მმართველ პარტიას მათ აქტივისტებზე ზეწოლაში ადანაშაულებენ

2020 წლის 3 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე „ლელოს” დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ლევან სამუშიამ მმართველი პარტია „ლელოს“ წევრის, მანანა სულთანიშვილის მიმართ ზეწოლაში დაადანაშაულა.[10] ამ უკანასკნელს დაუკავშირდა ქეთი ღვინიაშვილი, პარტია „ქართული ოცნების“ კოორდინატორი დიდუბე-ჩუღურეთში და შტაბში დაიბარა, სადაც რიმა ბერაძე[11] და მისი თანაშემწე მაკა სამნიაშვილი დაახვედრა.[12] ისინი მანანა სულთანიშვილს, „ლელოში“ დარჩენის შემთხვევაში, სოციალური დახმარებისა და უფასო სასადილოს სერვისზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით დაემუქრნენ.[13] საიას შეფასებით, ამ მონათხრობში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის - იძულების ნიშნები.[14] მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით 2020 წლის 5 სექტემბერს მანანა სულთანიშვილი პოლიციის მთავარ სამმართველოში დაიბარეს, სადაც ის ადვოკატთან ერთად მივიდა.[15]

ფაქტი რიმა ბერაძემ სოციალური ქსელის მეშვეობით უარყო.[16] ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმაც, ჩუღურეთის მაჟორიტარმა კანდიდატმა გიორგი ვოლსკიმ და განაცხადა, რომ ბრალდება უსაფუძვლო იყო.[17]

---

[10] „ლევან სამუშიას საგანგებო ბრიფინგი წინასაარჩევნო ზეწოლაზე“, „ლელო საქართველოსთვის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 03.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2HAjhYr, განახლებულია: 26.09.2020.

[11] თბილისის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და პარტია „ქართული ოცნების“ პარტიული სიის 36-ე წევრი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

[12] „ლევან სამუშიას საგანგებო ბრიფინგი წინასაარჩევნო ზეწოლაზე“.

[13] იქვე.

[14] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[15] „გასაუბრება ადვოკატის თანდასწრებით“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „პირველი არხი“, 05.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2GdAWUU, განახლებულია: 26.09.2020.

[16] „ლელოს” თქმით, მათ წევრს რიმა ბერაძე ემუქრებოდა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 03.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3l4fbpU, განახლებულია: 04.10.2020.

[17] „ბრალდება უსაფუძვლოა - ვოლსკი „ლელოს“ მხარდამჭერის განცხადებაზე“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 03.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3l9g7cw, განახლებულია: 04.10.2020.

თავდასხმა „ლელოს“ აქტივისტზე

2020 წლის 4 სექტემბერს ლევან სამუშიამ Facebook-ის საშუალებით გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ჩანს, როგორ გადაჰყავს „ლელოს“ წევრი გიორგი გლურჯიძე სასწრაფო დახმარების მანქანას.[18] დაზარალებულის თქმით, მას რამდენიმე პირი პოლიტიკური მოტივით დაესხა თავს, რის შედეგადაც ტვინის შერყევა მიიღო.[19] ლევან სამუშია აღნიშნავდა, რომ ამ ფაქტს შეესწრნენ მოწმეებიც.[20]

2020 წლის 5 სექტემბერს შსს-მ გაავრცელა განცხადება 1988 წელს დაბადებული გ.დ-ს დაკავების შესახებ.[21] გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 2020 წლის 4 სექტემბერს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრს.[22] შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ჯგუფური ძალადობის ფაქტზე მიმდინარეობს.[23]

დაპირისპირება ზუგდიდში, „ლელოს“ მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის ღონისძიებაზე

2020 წლის 9 სექტემბერს ზუგდიდში „ლელოს“ მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის ღონისძიება სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფონზე ჩატარდა.[24] ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ პროცესი შეფერხებულია და მხარეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება ხდება, რაც შემდგომ ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა.[25] სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ საქმის შესწავლა წვრილმანი ხულიგნობის ფაქტზე დაიწყო,[26] თუმცა საიას მიაჩნია, რომ სახელმწიფომ შემთხვევა ჯგუფური ძალადობის მუხლით[27] უნდა გამოიძიოს.

თავდასხმა „სტრატეგია აღმაშენებლის“ აქტივისტებზე

2020 წლის 9 სექტემბერს პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელმა Facebook-ზე გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარედ მობილიზებულია პოლიცია.[28] როგორც ირკვევა, პარტიის წარმომადგენლებს განთავსებული ჰქონდათ კარავი და აგროვებდნენ ხელმოწერებს საბანკო სესხებზე პროცენტის განახევრების ინიციატივის მხარდასაჭერად, რა დროსაც მათ თავს დაესხნენ.[29]

---

[18] ვიდეოჩანაწერი, ლევან სამუშიას პირადი Facebook-გვერდი, 04.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3j4S51T, განახლებულია: 17.09.2020.

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] „შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა“, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, 05.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3d6icTW, განახლებულია: 04.10.2020.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „ODISHI TV”, 09.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kEGGWG, განახლებულია: 09.09.2020; „ქართული ოცნების“ ზონდერები ზუგდიდში „ლელოს“ ღონისძიების პროვოკაციულად ჩაშლას ცდილობდნენ“, „ლელო-ზუგდიდის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 09.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ROiqFf, განახლებულია: 09.09.2020.

[25] საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „ODISHI TV”.

[26] „ზუგდიდში „ლელოს“ წევრების ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს მომხდარ ინციდენტზე ადმინისტრაციული მოკვლევა დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „პირველი არხი“, 10.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hXyNd7, განახლებულია: 10.09.2020.

[27] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[28] „ქოცების ზონდერების თავდასხმა ჩვენს ახალგაზრდებზე!“, გიორგი ვაშაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 29.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SabZwA, განახლებულია: 03.10.2020.

[29] იქვე.

აქტივისტების თქმით, მათ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩამოხიეს პარტიის ბანერი და დააზიანეს კარვები.[30] მედიის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ორივე პირი დააკავეს წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით,[31] თუმცა საიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ საქმის გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით.[32]

„ლელოს“ წევრი მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ზეწოლაში ადანაშაულებს

2020 წლის 12 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე „ლელოს“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელმა ირაკლი მატუამ ზუგდიდის საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრები მუქარასა და ზეწოლაში დაადანაშაულა.[33] მისი თქმით, ზუგდიდის საკრებულოს წევრის, თაზო ფაცაციას დავალებით, მას ტელეფონზე დაუკავშირდა ამავე საკრებულოს წევრი ოთარ ქადარია და შეხვედრა სთხოვა. „ლელოდან“ წამოსვლის სანაცვლოდ, მას სახელმწიფო ა(ა)იპ-ში დასაქმება შესთავაზეს, უარის შემდეგ კი დაემუქრნენ (უთხრეს, რომ მის ოჯახს შეექმნებოდა პრობლემები).[34] ირაკლი მატუას, საარჩევნო კამპანიიდან ჩამოშორების სანაცვლოდ, გადასცეს 600 ლარი, რომელიც, მისი თქმით, დაშინების გამო აიღო.[35] გარდა ამისა, უყიდეს ბილეთი და ზუგდიდის დატოვება აიძულეს.[36] მოგვიანებით, მან Facebook-ზე გამოაქვეყნა პოსტი, სადაც პარტიის დატოვების შესახებ განაცხადა.[37] ირაკლი მატუამ საიას გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას განმარტა, რომ მას სოციალური ქსელი გაუტეხეს და ეს პოსტი გამოუქვეყნეს. ზემოთ ხსენებული ბრალდებების დასამტკიცებლად, პარტია „ლელოს“ წევრებმა ბრიფინგზე წარმოადგინეს ოთარ ქადარიას ზარების და მიმოწერის ე.წ. „სქრინები“.[38] ირაკლი მატუას მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე, პროკურატურამ გამოძიება იძულების მუხლით დაიწყო.[39]

„ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტებზე თავდასხმა

2020 წლის 16 სექტემბერს „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც მშენებლობის ღობეზე პლაკატების გაკვრის პროცესში აქტივისტებსა და სამშენებლო კომპანიის („Lafarge betone”) წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებაა ასახული.[40] ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, რომელმაც „ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტი ახსნა-განმარტების მისაცემად პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა, თუმცა არავინ დაუკავებიათ.[41] პარტიის

---

[30] იქვე.

[31] „დავაკავეთ 2 პირი, რომლებმაც „სტრატეგია აღმაშენებლის“ აქტივისტებს შეურაცხყოფა მიაყენეს - შსს“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 09.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ia2Azp, განახლებულია: 03.10.2020.

[32] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[33] ,,ლელოს ბრიფინგი“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „ODISHI TV”, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32RM56N, განახლებულია: 12.09.2020.

[34] იქვე.

[35] იქვე.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] იქვე.

[39] „საკრებულოს დეპუტატის მიმართ „ლელოს“ ბრალდებაზე გამოძიება დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „ლაივპრესი“ , 17.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FY5sCn, განახლებულია: 17.09.2020.

[40] „სამშენებლო კომპანიის მფლობელის დაკვეთით ჩადენილი ვანდალიზმი“, შალვა ნათელაშვილის ოფიციალური Facebook-გვერდი, 16.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SeBXyJ, განახლებულია: 29.09.2020.

[41] იქვე.

მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ეს პირი აცხადებს, რომ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი მას დაემუქრა, რაზეც დაწყებულია გამოძიება.[42]

„ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის დარბევა სამგორში

2020 წლის 18 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, პარტია „ნაციონალური მოძრაობის" სამგორის საარჩევნო შტაბის ოფისი დაარბიეს.[43] ჩალეწეს მინები და დააზიანეს ბანერები.[44] შემთხვევა ღამის 2 საათზე მოხდა, რა დროსაც, თვითმხილველების თქმით, ორმა პირმა ოფისს აგურები დაუშინა.[45] პარტიაში აცხადებენ, რომ გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე დაიწყო.[46]

თავდასხმა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებზე

„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, 18 და 24 სექტემბერს მათ აქტივისტებს თავს დაესხნენ. ჯერ ლაშა ცუცქირიძეს გაუსწორდა ორი ნიღბიანი პირი ფიზიკურად[47] (შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით დაიწყო[48]), ერთი კვირის შემდეგ კი ზვიად კუპრავამ გაავრცელა ინფორმაცია ნინია ცისკარიშვილის ცემის შესახებ.[49] ზვიად კუპრავა განმარტავს, რომ ნინია ცისკარიშვილს ორი უცნობი აედევნა და ფიზიკურად გაუსწორდა.[50] საიას გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს შტაბის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ნინია ცისკარიშვილი იმყოფებოდა დაკითხვაზე და გამოძიება დაწყებულია. ზემოხსენებული ორივე პირი პარტიის საბურთალოს შტაბის წევრია.

თინა ბოკუჩავას განცხადებით, ეს ინციდენტები „ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს შტაბის მიერ მმართველი პარტიის ქურდულ სამყაროსთან თანამშრომლობის ფაქტის გამოვლენას უკავშირდება, რის გამოც „ქართულ ოცნებას“ სოფელ დიღომში ოფისის დახურვა მოუწია.[51]

ნიკა მელიას ქვები ესროლეს

2020 წლის 27 სექტემბერს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატ ნიკა მელიას გლდანულაში, მე-8 კორპუსთან, მოსახლეობასთან შეხვედრისას, ქვები ესროლეს.[52] საიას გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას ნიკა მელიას შტაბის უფროსმა

---

[42] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[43] „ნაციონალური მოძრაობის“ სამგორის საარჩევნო შტაბის ოფისი დაარბიეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 18.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lb0ly0, განახლებულია: 03.10.2020.

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[47] „ენმ-ის აქტივისტ ლაშა ცუცქირიძეს თავს დაესხნენ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 18.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36tGx4M, განახლებულია: 03.10.2020.

[48] იქვე.

[49] ზვიად კუპრავას პირადი Facebook-გვერდი, 24.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jmWIV0, განახლებულია: 03.10.2020.

[50] იქვე.

[51] „თინა ბოკუჩავას ინფორმაციით, სოფელ დიღომში „ოცნების“ შტაბი ე.წ. კანონიერი ქურდის „გლეხოვიჩის“ წარმომადგენლის მიერ იყო გახსნილი“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 26.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36zASdz, განახლებულია: 03.10.2020.

[52] „ნიკა მელიას თავს დაესხნენ“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 27.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3n3yrFA, განახლებულია: 03.10.2020.

განაცხადა, რომ ქვების სროლის შემდგომ მოხდა უმნიშვნელო სიტყვიერი დაპირისპირება, რომელშიც მერიის სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომლები, ასევე, მმართველი პარტიის მხარდამჭერები მონაწილეობდნენ. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია.

„ქართულ ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის“ დაპირისპირება ბოლნისში

27 სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში დაპირისპირება მოხდა გაერთიანებული ოპოზიციისა და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის.[53] მომხდარში ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა.[54] დაპირისპირების შედეგად, რამდენიმე მოქალაქე დაშავდა.[55] ერთ-ერთის თქმით, ადგილობრივ ჩაიხანასთან იმყოფებოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები, რა დროსაც მათ თავს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები დაესხნენ. მათ შორის იყო მაჟორიტარი კანდიდატის გოგი მეშველიანის ძმაც.[56] თავად გოგი მეშველიანმა განაცხადა, რომ თავდასხმის ინიციატორები ოპოზიციის წევრები იყვნენ.[57] პროკურატურამ გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით დაიწყო.[58]

„ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაპირისპირება მარნეულში

მარნეულში დაპირისპირება 29 სექტემბერს, დაახლოებით, 15:00 საათზე დაიწყო, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიასთან აქციას მართავდნენ.[59] მათი განმარტებით, აქციის მიზეზი საკრებულოს თავმჯდომარის და მარნეულში პარტია „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსის ამირან გიორგაძის მიერ საუბნო კომისიის წევრების თვითნებურად არჩევა იყო.[60] აქცია მალევე გადაიზარდა ამ ორი პარტიის წარმომადგენლებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში.[61] „მთავარი არხის“ ინფორმაციით, მასში თავად ამირან გიორგაძეც მონაწილეობდა და აქციის მონაწილეებს ფიზიკურად უსწორდებოდა.[62]

დაახლოებით, 16:00-18:00 საათის შუალედში დაპირისპირება გამწვავდა და სამიზნეები ამჯერად, პოლიტიკოსებთან ერთად, ჟურნალისტებიც გახდნენ. დაპირისპირების შედეგად, დაშავდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გივი და ლაშა ქველაძეები, ასევე, „მთავარი არხისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები.[63] განსაკუთრებით

---

[53] „დაპირისპირება ბოლნისში - ოცნებისა და ოპოზიციის წევრები თავდასხმაში ერთმანეთს ადანაშაულებენ“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 27.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ijZvNk, განახლებულია: 03.10.2020.

[54] იქვე.

[55] იქვე.

[56] იქვე.

[57] იქვე.

[58] იქვე.

[59] „ფიზიკური დაპირისპირება მარნეულში - „ენმ"-სა და „ოცნების" წარმომადგენლები ერთმანეთს საოლქო კომისიასთან დაუპირისპირდნენ“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 29.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2GkIGVy, განახლებულია: 03.10.2020.

[60] „მარნეულის საკრებულოსთან თავმჯდომარის - ამირან გიორგაძის გადადგომას მოითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 01.20.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3neNGMk, განახლებულია: 03.10.2020.

[61] იქვე.

[62] „ფიზიკური დაპირისპირება მარნეულში - „ენმ"-სა და „ოცნების" წარმომადგენლები ერთმანეთს საოლქო კომისიასთან დაუპირისპირდნენ“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“.

[63] „მთავარი არხის" 4 თანამშრომელს თავს დაესხნენ - ჟურნალისტს თავი აქვს გატეხილი“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 29.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2EWsglE, განახლებულია: 03.10.2020.

მძიმე იყო მთავარი არხის ჟურნალისტის ჯეიჰუნ მუჰამედალის მდგომარეობა.[64] გარდა ამისა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელს.[65] დაზიანდა „მთავარი არხისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კამერა და მიკროფონი.[66]

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო ჯანმრთელობის დაზიანებისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე.[67] ჯეიჰუნ მუჰამედალის თქმით, პოლიცია შეესწრო ძალადობას, თუმცა რეაგირება არ მოუხდენია.[68] ინციდენტთან დაკავშირებით დააკავეს ორი პირი ძალადობის ბრალდებით.[69] გამოძიებით დადგინდა, რომ მათ 29 სექტემბერს, საღამოს, მარნეულში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებს - გივი და ლაშა ქველაძეებს.[70]

2020 წლის 30 სექტემბერს, დილის საათებში, თბილისი-მარნეულის გზაზე ფიზიკურად გაუსწორდნენ „ქართული ოცნების“ შტაბის თანამშრომელ თემურ შუბითიძეს.[71] დაუდგენელმა პირებმა მის ავტომობილს ჯერ მანქანა დააჯახეს, შემდეგ კი სასტიკად სცემეს.[72] შსს-მ მომხდარზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.[73]

---

[64] იქვე.

[65] იქვე.

[66] „მთავარის" გარდა, ფიზიკურად გაუსწორდნენ და კამერა დაუმტვრიეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადამღებ ჯგუფსაც“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 29.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34gwixW, განახლებულია: 03.10.2020.

[67] „ძალადობის და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ფაქტზე გამოძიება დავიწყეთ - შსს“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 29.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ngvTnV, განახლებულია: 05.10.2020.

[68] „ჯეიჰუნ მუჰამედალის დაკითხვა დასრულდა - პოლიციას სათვალთვალო კამერების ჩანაწერები არ აქვს“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 30.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2HX4UO1, განახლებულია: 05.10.2020.

[69] „შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარნეულში 29 სექტემბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით 2 პირი დააკავა“, 03.10.2020, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jv2Vyc, განახლებულია: 03.10.2020.

[70] იქვე.

[71] „მარნეულში მიმავალ „ოცნების“ წარმომადგენელს მანქანა დააჯახეს და სასტიკად სცემეს“, საინფორმაციო პორტალი „პრაიმტაიმი“, 30.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30w8qW2, განახლებულია: 03.10.2020.

[72] იქვე.

[73] იქვე.

4 პარტიის წინასაარჩევნო კამპანიისთვის დაბრკოლებების შექმნა

„ლელოს“ წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლა

25 სექტემბერს პარტია „ლელოს“ ბრენდირებული ავტობუსი 14:00-იდან 15:00 საათამდე მონაკვეთში 20 მხარდამჭერით ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონში გადაადგილდებოდა.[74] ისინი კონკრეტულ ლოკაციაზე ჩერდებოდნენ, შლიდნენ კარავს და საჭირო ინვენტარს, რომელზეც სააგიტაციო მასალას აწყობდნენ (გაზეთები, ფლაერები).[75]

პარტიის აქტივისტები კანცელარიის წინ მდებარე სკვერთან განლაგდნენ. თუმცა, მერიის საზედამხედველო სამსახურმა მათ სააგიტაციო მიზნებისთვის გაშლილი კარავი ააღებინა[76] და განუმარტა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლიდან 150 მეტრის რადიუსში კონსტრუქციის განთავსება დაუშვებელი იყო.[77] საპასუხოდ, აქტივისტებმა მოშორებით ტერიტორიაზე გადაინაცვლეს, თუმცა მერიის წარმომადგენლებმა კარავი მაინც ააღებინეს.[78]

იგივე განმეორდა 28 სექტემბერს მეტროსადგურ „ახმეტელის“ შესასვლელის წინ. ოღონდ, ამჯერად, მუნიციპალური სამსახურის თანამშრომლებმა კარვის და მაგიდის აღება ტერიტორიის იერსახის თვითნებურად შეცვლის აკრძალვის მოტივით მოსთხოვეს.[79]

კანონით აკრძალულია დახლების ან სხვა მსუბუქი კონსტრუქციების თვითნებურად განთავსება, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ზონაში და წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეს.[80] ამ საკითხის ზედამხედველობა და დემონტაჟი მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილებაა.[81] ნორმის მიზანია, დაიცვას ქალაქის იერსახე და არ დაუშვას თვითნებური ჩარევით მისი შეცვლა ისეთი კონსტრუქციების განთავსებით, როგორიცაა დახლი, ჯიხური ან/და „სხვა მსუბუქი კონსტრუქცია“. ტერმინი „მსუბუქი კონსტრუქცია“ ფართო ცნებაა. მნიშვნელოვანია, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, ის იმგვარად განიმარტოს, რომ ადამიანის უფლებები არაპროპორციულად არ შეიზღუდოს. ამ შემთხვევაში აქტივისტების მიერ კარვის გაშლა მოკლე დროით განსაზღვრული აქტივობა იყო, რომელიც პოლიტიკურ აგიტაციას ემსახურებოდა. კანონმდებლის მიზანი კი ამგვარი ატრიბუტების გამოყენების შეზღუდვა არ

---

[74] პარტია „ლელოს“ წარმომადგენლის, მარი ჯაფარიძის 2020 წლის 29 სექტემბრის წერილი.

[75] საიასთვის მოწოდებული ფოტომასალით დგინდება, რომ „ლელოს“ აქტივისტების ინვენტარი შედგებოდა სტენდისგან, ე.წ. ტენტისგან, დახლისგან, სააგიტაციო ჟურნალებისა და ფლაერებისგან.

[76] იქვე.

[77] ამ შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს სულხან-საბას ქ. N9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა.

[78] პარტია „ლელოს“ წარმომადგენლის, მარი ჯაფარიძის 2020 წლის 29 სექტემბრის წერილი.

[79] იქვე.

[80] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^1-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

[81] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 25 სექტემბრის N28-94 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

ყოფილა. ზემოთ ხსენებული მითითების შედეგად, პოლიტიკურ გაერთიანებას აქტივობების შეწყვეტა მოუწია. **საია მიიჩნევს, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ არასწორად განმარტა კანონი და მოუწოდებს თბილისის მერიას, არ შეაფერხოს ოპოზიციური პარტიის საარჩევნო კამპანია.**

„ერთიან საქართველო დემოკრატიულ მოძრაობას“ წინასაარჩევნო შეხვედრის გამართვაზე ქარელის მუნიციპალიტეტმა უკანონოდ უთხრა უარი

10 სექტემბერს პარტია „ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გრიგოლ ბარამიძემ განცხადებით მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას და აცნობა, რომ 14 სექტემბერს 13:00 საათზე საარჩევნო სუბიექტი ნინო ბურჯანაძე კამპანიის ფარგლებში გეგმავდა მოსახლეობასთან შეხვედრას ქარელის კულტურის სახლის ეზოში მდებარე სკვერში.[82]

ქარელის მუნიციპალიტეტის მერის, ზაზა გულიაშვილის 11 სექტემბრის წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ დაგეგმილი შეხვედრის მოწყობა ვერ მოხერხდებოდა, ვინაიდან კულტურის სახლში განთავსებული იყო ა(ა)იპ „ქარელის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება", კულტურის ცენტრი, ხელოვნების წრეები, ასევე, ცეკვის სტუდიები და ამ დაწესებულებაში მომუშავე და მოსარგებლე პირებს გადაადგილებაში ხელი შეეშლებოდათ.[83]

კანონმდებლობა საშუალებას აძლევს შეკრების მონაწილეებს, თავად განსაზღვრონ შეკრების მიზანი, დრო და ადგილი. კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობას, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილზე იმართება.[84] სკვერი კი ასეთი ადგილი არ არის. ქარელის კულტურის სახლის ეზო ღია სივრცეა. მას ორი დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს და იქ ნებისმიერ მსურველს დაუბრკოლებლად შეუძლია გადაადგილება. აქედან გამომდინარე, პარტიას შეხვედრის შესახებ შეტყობინების ვალდებულება არ გააჩნდა, ხოლო ქარელის მერის უარი, თავის მხრივ, უსაფუძვლო იყო.

წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევა მუნიციპალიტეტების მიერ

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ შენობა-ნაგებობების და ადგილების ჩამონათვალი, რომლებზეც აკრძალულია/დაშვებულია საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება და საჯარო ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარება.[85] ეს ვადა 6 სექტემბერს ამოიწურა. 12 სექტემბერს ცესკომ გამოაქვეყნა 64 მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.[86]

ყველა მუნიციპალიტეტს (აბაშის მუნიციპალიტეტის გარდა) გაგზავნილი აქვს ინფორმაცია სააგიტაციო მასალების განთავსების შესახებ. რაც შეეხება შენობა-ნაგებობების ნუსხას, ის

---

[82] „ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობის“ 2020 წლის 10 სექტემბრის N01/044 განცხადება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

[83] ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 11 სექტემბრის N05/4658 წერილი.

[84] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[85] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

[86] „შენობა-ნაგებობების და ადგილების ჩამონათვალი, რომლებზეც აკრძალულია/დაშვებულია საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება და საჯარო ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარება“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 12.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SmqsFv, განახლებულია: 01.10.2020.

არ გაუგზავნია: ასპინძის, ახალქალაქის, გარდაბნის, კასპის, მცხეთის, ნინოწმინდის, რუსთავის, სენაკისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს. ამ თვითმმართველობებმა დაარღვიეს კანონის მოთხოვნები, რითაც პარტიებს ნორმალური საარჩევნო კამპანიის წარმართვაში ხელი შეუშალეს.